





სალმან რუშდი

# ჯოზეფ ანტონი

მემუარები

დიფენეს  
ბიბლიოთეკა

სალმან რუშდი  
ჯოზეფ ანტონი  
მემუარები

Salman Rushdie  
JOSEPH ANTON  
A MEMOIR

ინგლისურიდან თარგმნეს ზაზა ქილაძემ და გია ჭუმბურიძემ

© Salman Rushdie 2012  
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2015  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-473-1

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

ჩემს შვილებს, ზაფარს და მილანს,  
აგრეთვე მათ დედებს, კლარისას და ელიზაბეთს,  
და ყველას, ვინც დამეხმარა



წარსული პროლოგია; ან რა მოგველის –  
ჩემი და თქვენი საფიქრალია.

უილიამ შექსპირი, „ქარიშხალი“





## შინაარსი

პროლოგი. პირველი შაშვი .....	11
I ფაუსტური გარიგება, ოლონდ პირუკუ.....	37
II „ხელნაწერები არ იწვის“ .....	145
III ნულოვანი წელიწადი.....	197
IV ძალით თავს ვერავის შეაყვარებ! .....	289
V „ამდენი ხნის ყირამალამ თავი-ბოლო ამირია...“ .....	361
VI რატომაა შეუძლებელი პამპასების ფოტოგადაღება? ....	435
VII ერთი მანქანა ქაქი .....	537
VIII ბატონი AM და ბატონი PM.....	627
IX მილენიუმის ილუზია .....	745
X სასტუმრო „ჰელსიონში“ .....	813



**კ რ ო ლ ო ბ ი**

**პირველი შაშვი**



მერე, როცა მის ირგვლივ სამყარო ფეთქებოდა და სკოლის ეზოში სავარჯიშო მოედანს ავბედითი შავი შაშვები ესეოდნენ, საკუთარ თავზე გაბრაზდა – როგორ დამავინწყდა BBC-ის იმ ჟურნალისტი ქალის სახელი, რომელმაც გამაფრთხილა, შენი ძველი ცხოვრება დამთავრდა და ახალი, უფრო მძიმე და პირ-ქუში არსებობა მოგელისო. შინ დაურეკა და არც უთქვამს, მხოლოდ განდობილთათვის ცნობილი ეს ნომერი ვისგან ან საიდან გაიგო. ჯიქურ აჯახა: ახლა რას გრძნობთ, როცა აია-თოლა ჰომეინიმ სიკვდილი მოგისაჯათო?

ლონდონისთვის უჩვეულოდ მზიანი დღე კი იდგა, მაგრამ ამ შეკითხვამ თითქოს ერთიანად ჩაუბნელა თვალისჩინი. ვერაა მთლად კარგი გრძნობაო – მხოლოდ ამის თქმა მოახერხა და თან წესიერად არც ის იცოდა, რას ამბობდა. ერთადერთი ფიქრილა უტრიალებდა თავში – უკვე მკვდარი ვარო. მერე იმ კითხვამაც გაუელვა, ნეტავ რამდენი დღის სიცოცხლეა დამ-რჩენიაო და ერთნიშნა რიცხვსაც კი ვერ გადააცილა. ყურმი-ლი დაკიდა, სამუშაო ოთახიდან გამოვარდა და აილინგტონის უბანში მდებარე სახლის შიდა, ქვემოთ ჩამავალ კიბეს ეცა.

სასტუმრო ოთახის ფანჯრებს ხის დარაბები ეკრა და სრულიად გაუაზრებლად, საჩქაროდ დაგმანა. მერე შემოსასვლელი კარიც გადარაზა.

წმინდა ვალენტინის დღე იდგა, თუმცა იმხანად ცოლთან – ამერიკელ მწერალ მერიენ უიგინსთან ურთიერთობა გვარიანად არეოდა. სულ რამდენიმე დღის წინ არ იყო, რომ უთხრა, თავს უბედურად ვგრძნობ, ჩვენმა ქორწინებამ არ გაამართლაო?! არადა, სულ რაღაც ერთი წლის წინ შეუღლდნენ და უკვე თავადაც გრძნობდა, ეს კავშირი სულ უფრო და უფრო მყიფე რომ ხდებოდა. ქალი უხმოდ აკვირდებოდა, თუ როგორ აწყდებოდა აქეთ-იქით, დამწყვედელი მხეცივით, ფარდებს აფარებდა, ფანჯრის საკეტებს ამონებდა და ამ ახალი ამბის შეტყობით ისე იყო დამუხტული, თითქოს მთელ სხეულში დენი გაუტარესო. თან ცოლისთვისაც ხომ უნდა აეხსნა, რა ხდებოდა. იმან კი მშვიდად მოუსმინა და მერე იმაზე წამოიწყო საუბარი, ახლა როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. მრავლობით რიცხვში ლაპარაკობდა, აქაოდა, ამ გასაჭირში ქმრის მიტოვებას არ ვაპირებო.

სახლთან ტელეკომპანია CBS-ის გამოგზავნილი მანქანა შეჩერდა. წინდანინ იყო შეთანხმებული, რომ ნაითსბრიჯში, ბოუოთერ-ჰაუზის სტუდიაში უნდა მისულიყო, სადაც დილის პირდაპირ ეთერში გამოვიდოდა.

– უნდა წავიდე, – უთხრა ცოლს. – უარს ვერ ვიტყვი, ამ გადაცემას მთელი მსოფლიო უყურებს.

იმავე დილით, ცოტა მოგვიანებით, ბეიზ-უოთერში, მოსქოუ-როუდზე მდებარე მართლმადიდებლურ ეკლესიაში მისი მეგობრის, ბრიუს ჩეთვინის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი უნდა გადაეხადათ. არადა, სულ ორიოდე წლის წინ, ჰომერენდში, ბრიუსის სახლში მისი მეორმოცე დაბადების დღე იზეი-

მეს. ახლა კი ის შიდასით გარდაცვლილიყო და ვინ იცის, ეგებ სიკვდილს დღეს-ხვალ მისთვისაც მოეკაკუნებინა კარზე...

– და წირვას რას უშვრები? – ჰკითხა ცოლმა.

ამაზე პასუხი არ ჰქონდა. კარი გააღო, ქუჩაში გამოვიდა. მერე მანქანაში ჩაჯდა და გაემგზავრა. მაშინ ამისთვის არანაირი განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. არადა, მხოლოდ სამი წლის შემდეგღა დაუბრუნდებოდა ამ სახლს, სადაც ბოლო ხუთი წელი გაეტარებინა, ოღონდ უკვე – არა როგორც მისი მეპატრონე.

კალიფორნიის ქალაქ ბოდეგა-ბეის სკოლის შენობაში, საკლასო ოთახში ბავშვები რაღაც სულელურ, სევდიან სიმღერას ღიღინებენ: „თვეში ერთხელ ივარცხნიდა თმას...“ გარეთ ცივი ქარი უბერავს. შავი შაში ციდან დაბლა ეშვება და სავარჯიშო მოედანზე, ორძელზე ჯდება. ბავშვების სიმღერა თითქოს უსასრულო წრეზე ტრიალებს, იწყება და აღარ თავდება. კიდე და კიდე: „ივარცხნიდა, თან ცრემლს ღვრიდა, დარი-დური-დარი-რა...“ ორძელზე უკვე ოთხი შაში ზის. აი, მეხუთეც გამოჩნდა. კლასში ბავშვები კი ისევ მღერიან. ახლა ორძელს კიდე ორი შაში დასტრიალებს და ათასობით სხვას ცა ისე დაუბნელებია, დამშეული კალების შემოსევა გეგონება. სიმღერა დაიწყო და არც არასოდეს დამთავრდება.

როცა პირველი შაში ჯდება ორძელზე, ეს თითქოს ერთეული მოვლენაა, ცალკეული, გამორჩეული. აუცილებელი არაა, აქედან ზოგადი თეორია შექმნა, მისი იქ ყოფნა რაღაც უფრო დიდის მანიშნებლად მიიჩნის. მოგვიანებით კი, როცა შემოსევა იწყება, ადამიანისთვისაც უფრო იოლია, იმ პირველ შაშვში უბედურების მაცნე დაინახოს. თუმცა, როცა ორძელზე ჯდება, ჯერ მხოლოდ ერთი უბრალო ჩიტია და სხვა არაფერი.

მომდევნო წლებში ეს სურათი არაერთხელ დაესიზმრება და მიხვდება კიდეც, რომ ეს ერთგვარი წინათქმა გახლდათ: იმ დროის ამბავი, როცა პირველი შაშვი დაეშვა ციდან. თავიდან ეს მხოლოდ მას ეხება – ყველაფერი პიროვნულია, ცალკეული, გამორჩეული. არავინაა ვალდებული, რაიმე დასკვნა გამოიტანოს. ათობით და მეტი წელიც ჩაივლის, ვიდრე ამბავი იმდენად განივრცობა, რომ მთელ ცას გადაფარავს – როგორც ცისკიდურზე მდგომი მთავარანგელოზი გაბრიელი; როგორც ტყუბი მაღალი შენობისაკენ დაძრული წყვილი თვითმფრინავი; როგორც მკვლეელი ჩიტების გუნდი ალფრედ ჰიჩკოკის დაუვინყარ ფილმში.

CBS-ის ოფისში მისული მიხვდა, რომ იმ დღეს მთავარი სალაპარაკო თემა თავად იქნებოდა. ახალი ამბების განყოფილებაში მონიტორებთან მსხდომნი უკვე ამბობდნენ კიდეც იმ სიტყვას, რომელიც მალე დოლაბივით უნდა ჩამოჰკიდებოდა კისერზე. ოღონდ ეგაა, ამ სიტყვას ისე ხმარობდნენ, როგორც „სასიკვდილო განაჩენის“ სინონიმს და მოუნდა კიდეც, პედანტური ალტყინებით შეჰკამათებოდა – ეგ მაგას სულაც არ ნიშნავსო. არადა, იმ დღიდან მოყოლებული, ამქვეყნად ადამიანთა უმრავლესობისათვის მას სწორედ ეს ერთი მნიშვნელობა მიენიჭებოდა და სხვა არაფერი. მისთვისაც – ასევე.

*ფათვა.*

„ქვეყნის ოთხივ კუთხით მიინდა ვაუნყო ჭეშმარიტ მუსლიმთ, რომ ამ „ემმაკეული აიების“ დამწერს და ყველას, ვინც მისი შინაარსის მიუხედავად, ისლამის, ჩვენი წინასწარმეტყველისა და ყურანის საგინებელი წიგნის გამოცემაში დაიდო წილი, სასიკვდილო განაჩენი გამოვუტანეთ. მოვუწოდებ ყველა მართლმორწმუნეს, იქ ალასრულოს განაჩენი, სადაც კი დამნაშავეებს წაასწრებს!“ ინტერვიუს მისაცემად სტუდიისა-



კენ მიმავალს სწორედ ამ ტექსტის ამონაბეჭდი მიაჩნია ხელში ვილაცამ. მის უწინდელ „მე“-ს კვლავაც მოუარა კამათის ჟინმა – ამჯერად საღერღელი სიტყვა „განაჩენმა“ აუშალა: ეს არ გახლდათ არცერთი იმ სასამართლოს გადანყვეტილება, რომელსაც თავად სცნობდა ან აღიარებდა; რომლის უფლებამოსილებასაც დაყაბულდებოდა. ეს, უბრალოდ, ერთი ბოროტი, მომაკვდავი ბერიკაცის ახირებად მიაჩნდა. თუმცა კი ისიც კარგად მოეხსენებოდა, უკვე აღარაფერში რომ არ გამოადგებოდა იმ უწინდელი „მე“-ს სისხლში გამჯდარი ჩვევები, რადგან უცებ სულ სხვა პიროვნებად ქცეულიყო – გრიგალთან პირისპირ დარჩენილ კაცად; არა მეგობრებისთვის ნაცნობ სალმან რუშდიდ, არამედ სწორედაც „ემმაკეული აიების“ ავტორად, რადგანაც რომანი ერთია და ემმას ნაკარნახევი აიები – სულ სხვა, მით უფრო, რომ თავად ეს აიაც არ ნიშნავს ლექსს. არადა, სწორედ სატანური ლექსების თხზვას სდებდნენ ბრალად და „სატან რუშდიდ“ იხსენიებდნენ, კარიკატურული, რქოსანი არსების გამოსახულებას ქუჩაში გამოფენილი ბრბო აღმა-დაღმა დააფრიალებდა შორეულ ქალაქში – კისერზე ყულფმოდებულსა და წითელენაგადმოდებულს... ჩამოახრჩვეთ ეგ შაითან-რუშდი! – რა იოლი ჩანდა ადამიანის მთელი წარსულის გადაშლა და მისი ახალი ხატის შეკონინება, ყველაფერ სხვას რომ თრგუნავდა და ვერც ვერანაირად შეენინაალმდეგებოდი მის დამკვიდრებას!

ჩარლზ პირველმა უკანონოდ სცნო მისთვის გამოტანილი განაჩენი, თუმცა ამას სულაც არ შეუშლია ხელი ოლივერ კრომველისათვის, ემაფოტზე აეყვანა სრულიად ინგლისის მეფე.

ეს ჩვენი სიკვდილმისჯილი კი არანაირი მეფე არ ყოფილა – უბრალოდ, წიგნი დანერა.

ხედავდა, რა სახით შესცქეროდნენ აქეთ-იქიდან ჟურნალისტები და ფიქრობდა, ნეტა საერთოდ ასე უცქერს ხალხი ეშაფოტისაკენ, გილიოტინისა თუ ელექტროსკამისაკენ მიმავალსო? ერთმა უცხოელმა კორესპონდენტმა გულითადობის გამოჩენა სცადა: ჰკითხა, რას იტყვით, როგორ შეაფასებთ ჰომეინის ნათქვამს – მართლა დიდი საფრთხე გემუქრებათ თუ ეს უბრალო რიტორიკააო?

– ისე, ძალიანაც ნუ ილელვებთ, – დაამატა. – აკი ჰომეინი აშშ-ის პრეზიდენტსაც ყოველ პარასკევს სალამოს ჰპირდება სიკვდილით დასჯას...

უკვე ეთერში გასულს ჰკითხეს, რა პასუხს გასცემთ ამ მუქარაზეო და მან ასე უპასუხა: ვნანობ, რომ უფრო მწარე წიგნი არ დაგწერეო. ამ ნათქვამით მაშინაც ამაყობდა და მერეც. სიმართლე თქვა და იმიტომ. სულაც არ ეგონა, ჩემს წიგნს მაინცდამაინც ისლამის კრიტიკად აღიქვამენო, მაგრამ ამერიკული ტელეკომპანიის სტუდიაში იმავე დღით განაცხადა: სარწმუნოებას, რომლის ბურჯიც თავს ამგვარი ქცევის უფლებას აძლევს, ცოტაოდენი კრიტიკა მართლა არ აწყენდაო.

ინტერვიუს დასრულების შემდეგ უთხრეს, თქვენმა ცოლმა დარეკაო. მაშინვე სახლის ტელეფონის ნომერი აკრიფა.

– აქ აღარ დაბრუნდე, ჟურნალისტების მთელი ჯარი გელოდება ქუჩაში, – უთხრა ცოლმა.

– სააგენტოში წავალ, შენც ჩანთა ჩაალაგე და იქ შეეხვედეთ, – უპასუხა მას.

მისი ლიტერატურული სააგენტო „უაილი, ეიტკენ ენდ სტოუნი“ ჩელსიში მდებარე თეთრად შებეთქილ შენობაში იყო განთავსებული. იქ ჯერჯერობით ჟურნალისტები არ ჩანდნენ – ეტყობა, მსოფლიო პრესას ვერ წარმოედგინა, ამისთანა დღეს თავის აგენტს თუ მიადგებოდა. სამაგიეროდ, როცა

შიგნით შევიდა, იქ ყველა ტელეფონი ერთდროულად რეკავდა და ყველა მის ამბავს კითხულობდა. გილონ ეიტკენი, მისი ბრიტანელი წარმომადგენელი, ტელეფონით ესაუბრებოდა პარლამენტში აღმოსავლეთ ლესტერის ოლქის დეპუტატს, ინდური წარმოშობის ბრიტანელ კიტ ვაზს. მას ჯერ გაოგნებული სახით მიაჩერდა, მერე ყურმილს ხელი დააფარა და გადმოულაპარაკა:

– დაელაპარაკები?

სატელეფონო საუბრისას ვაზმა უთხრა, რაც მოხდა, საშინელებააო, და სრულ მხარდაჭერასაც დაჰპირდა. რამდენიმე კვირის მერე კი სწორედ ის აღმოჩნდა სამიათასკაციანი „ანტირუმდული“ მსვლელობის სათავეში და ეს გამოსვლა დაახასიათა, როგორც „ისლამისა და დიდი ბრიტანეთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიადესი დღე...“

უეცრად მიხვდა, რომ მომავალზე ფიქრი აღარ შეეძლო, წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა გზით წავიდოდა მისი ცხოვრება, რა უნდა დაეგეგმა და როგორ. მხოლოდ იმწუთიერზე შეეძლო ყურადღების გადატანა – პირველ რიგში, ბრიუს ჩეთვინის სულის მოსახსენიებელ წირვას უნდა დასწრებოდა.

– რა, მართლა აპირებ წასვლას? – ჰკითხა გილონმა.

ბევრი არც უფიქრია – ბრიუსი ხომ მისი უახლოესი მეგობარი იყო. ნავედით, რაც იქნება, იქნებაო, უთხრა.

მერიენიც მალე მოვიდა. თვალები, ცოტა არ იყოს, ადგნებულად უელავდა – ეტყობა, სახლთან მოჯარულ ფოტოგრაფთა ალყის გამორღვევამ გვარიანად გააღიზიანა. უკვე მეორე დღეს მისი მზერა ქვეყნის ყველა გაზეთის პირველ გვერდებზე იქნებოდა გამომზეურებული. ერთ-ერთმა მათგანმა მოზრდილი შრიფტით წარწერაც კი დაურთო ფოტოს: „მოურეველი შიში“. ბევრი არც მოსულს ულაპარაკია და არც

დამხდურებს – მალევე ჩასხდნენ შავი ფერის „სააბში“ და ბეის-უოთერისკენ გაემგზავრნენ. არანაკლებ შემფოთებული გილონ ეიტკენი უკანა სავარძელზე მოკუნტულიყო.

საჭეს თვითონ უჯდა და ახლა იმაზე ფიქრობდა, რა ბედი ელოდათ ყარაჩიში მცხოვრებ მის დედასა და უმცროს დას. შუათანა რა ხანია მონყვეტოდა ოჯახს და კალიფორნიაში, ბერკლიში დაედო ბინა. ნეტა ის მაინც თუ იქნებოდა უსაფრთხო? უფროსი და, სამინი, მისი თანშემზრდილი და, ოჯახთან ერთად ლონდონის გარეუბანში, უემბლიში სახლობდა, სახელგანთქმული სტადიონის შორიახლოს. მათაც ხომ სჭირდებოდათ დაცვა! მისი საკუთარი, ცხრა წლისა და რვა თვის ვაჟიშვილი ზაფარი, დედამის კლარისასთან ერთად, გრინ-ლეინზე, კლისოლდ-პარკის მახლობლად, ბერმა-როუდის სამოც ნომერში ცხოვრობდა. იმ დროისათვის ბიჭის მეთე დაბადების დღე ძალზე შორეულ ამბად მოჩანდა. მამა, ისეთ წიგნებს რატომ არ წერ, მეც რომ წავიკითხოო? – ჰკითხა ერთხელ. ამან ერთი სტრიქონი მოაგონა „წმინდა ჯუდის კომედიდან“ – ძილისპირული სიმღერიდან, პოლ საიმონმა რომ დაუნერა თავის პატარა ბიჭს: „სულ ტყუილად დამიგდია სახელი, იავნანას თუ ვერ ვუმღერ შვილს...“ „კარგი შეკითხვაა, – მიუგო მამინ, – მოდი, ასე შევთანხმდეთ: დავამთავრებ, რაზეც ახლა ვმუშაობ და მერე საგანგებოდ შენთვის დავწერ წიგნს“. ბიჭიც დაყაბულდა. მამამ წიგნი დაასრულა, გამოსცა კიდევ, ოღონდ ახლა პირობის შესასრულებლად ვაითუ დრო აღარც დარჩენოდა. ბავშვისთვის მიცემული სიტყვა არასოდეს უნდა გატეხოო, გაიფიქრა, მერე კი ამ აფორიაქებულ გონებაში სრულიად ბრიყვული შეკითხვაც ამოუტივტივდა: ნუთუ მწერლის სიკვდილიც არ ჩაითვლება საპატიო მიზეზადო?